მთავრობის ვალი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში მთავრობის ვალის ნაშთი და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმების შესაბამისი პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების ჯამი 2025 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენს 35 308.3 მლნ ლარს.

ზემოხსენებული ჯამური ვალდებულება მოიცავს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა - 35 282.4 მლნ ლარს, საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხების არსებულ ნაშთს - 5.9 მლნ ლარს და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმების შესაბამისი პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებას - 20.0 მლნ ლარს.

მთავრობის საგარეო ვალი

მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი 24 020.4 მლნ ლარი, მთლიანი მთავრობის ვალის 68.1%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისგან - პორტფელის საშუალო შეწონილი საკონტრაქტო ვადიანობა შეადგენს 21.7 წელს, საშუალო შეწონილი ვადიანობა დაფარვამდე შეადგენს დაახლოებით 9.3 წელს, ხოლო მთავრობის საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 2.76%-ს.

მთავრობის ვალის სტრუქტურა 2025 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

2025 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით მთავრობის საგარეო ვალის პორტფელის 46.5% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს



საქართველოს მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ დონეზე.



მთავრობის საგარეო ვალის სტრუქტურა - 2025 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

კრედიტორი	ვალუტა	ნაშთი აშშ დოლარი	ნაშთი ლარი	საპროცენტო განაკვეთის ტიპი	საპროცენტო განაკვეთი
მთავრობის საგარეო ვალი		**8,850,883**	**24,020,412**		
მრავალმხრივი კრედიტორები			**18,371,389**		
განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (WB - IDA)	SDR	414,737	1,125,554	Fixed	1.26%
რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი(WB - IBRD)	EUR		954,844	Fixed	3.10%
	EUR		1,675,449	Euribor + VS	3.16%
	USD		2,435,249	Ref.Rate + VS	5.45%
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	SDR		56,594	Fixed	1.22%
	SDR		4,797	(Ref.Rate + IBRD	2.35%
	EUR		41,172	Euribor+VS	3.72%
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF EFF,MOF)	SDR	166,403	451,602	SDR Rate of Charge	3.45%
ევროკავშირი (EU)	EUR		419,136	Fixed	0.38%
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD)	EUR	225,717	612,573	Euribor + 1%	3.10%
	EUR		10	Fixed	0.25%
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	SDR		841,669	Fixed	1.62%
	GEL		68,198	Fixed	9.32%
	EUR		1,309,498	Fixed	1.32%
	EUR		3,423,753	Euribor + FS	2.98%
	USD		1,036,342	Ref.Rate + FS	5.25%
აზიის ინფრასტრუქტურის განვითარების ბანკი (AIIB)	USD		214,525	Ref.Rate + VS	6.18%
	EUR		435,355	Euribor + VS	3.07%
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	EUR		34,006	Fixed	2.17%
	EUR		9,924	Euribor + VS	2.61%
ევროპის საინვესტიციო ბანკი(EIB)	EUR		2,051,141	Fixed	1.99%
	EUR		1,157,368	Euribor + FS	2.47%
სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	EUR	4,652	12,626	Euribor + VS	4.10%
ორმხრივი კრედიტორები			**4,292,073**		
ავსტრია	EUR		27,846	Fixed	1.00%
თურქმენეთი	USD		573	Fixed	4.00%
გერმანია (KfW)	EUR		1,140,195	Fixed	0.98%
	EUR		482,316	Euribor + FS	2.74%
იაპონია	JPY		314,210	Fixed	0.72%
ქუვეითი	KWD		19,609	Fixed	2.68%
ამერიკის შეერთებული შტატები	USD		12,924	Fixed	2.24%
საფრანგეთი	EUR		1,424,986	Fixed	1.09%
	EUR		869,414	Euribor + FS	2.74%
ფასიანი ქაღალდები			**1,356,950**		
ევრობონდი	USD		1,356,950	Fixed	2.75%

საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი	**2.76%**

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების ათვისებას 1 273 100.0 ათასი ლარის ოდენობით და ევრობონდის რეფინანსირებით ვალდებულებების ზრდას 1 350 000.0 ათასი ლარის ოდენობით.

ასევე, ბიუჯეტის მხარდამჭერი რესურსის სახით 640 000.0 ათასი ლარის მობილიზებას:

- ✓ საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის ფარგლებში:
  - o მსოფლიო ბანკიდან (WB) მისაღები სახსრები - 77,000.0 ათასი ლარის ოდენობით;
  - o საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) მისაღები სახსრები - 30,000.0 ათასი ლარის ოდენობით;

- ✓ ადგილობრივ დონეზე თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ სტანდარტის შესაბამის (CLEAR) წყალზე პროგრამის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) მისაღები სახსრები - 100,000.0 ათასი ლარის ოდენობით;
- ✓ ზოგადი განათლების სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) მისაღები სახსრები - 108,000.0 ათასი ლარის ოდენობით;
- ✓ რკინიგზის სექტორის რეფორმის პროგრამის ფარგლებში:
  - o აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) მისაღები სახსრები - 162,500.0 ათასი ლარის ოდენობით;
  - o მსოფლიო ბანკიდან (WB) მისაღები სახსრები - 162,500.0 ათასი ლარის ოდენობით;

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 3 643 000.0 ათასი ლარი, საიდანაც 2 875 000.0 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 768 000.0 ათასი ლარი - პროცენტის თანხას.

საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2026 წლისთვის (პროგნოზი)

ათასი ლარი

კრედიტორები	**ვალების დაფარვა**	**პროცენტი**	**სულ**
ავსტრია	*5 600.0*	*300.0*	*5 900.0*
ქუვეითი	*5 100.0*	*500.0*	*5 600.0*
იაპონია	*39 300.0*	*4 700.0*	*44 000.0*
გერმანია	*295 700.0*	*37 800.0*	*333 500.0*
აშშ	*4 200.0*	*200.0*	*4 400.0*
საფრანგეთი	*98 600.0*	*48 400.0*	*147 000.0*
IDA	*242 800.0*	*13 800.0*	*256 600.0*
IBRD	*133 100.0*	*229 800.0*	*362 900.0*
IFAD	*9 100.0*	*2 400.0*	*11 500.0*
EBRD	*100 900.0*	*25 900.0*	*126 800.0*
EIB	*84 500.0*	*79 900.0*	*164 400.0*
ADB	*386 000.0*	*209 000.0*	*595 000.0*
IMF	*94 000.0*	*14 300.0*	*108 300.0*
EU	*6 600.0*	*1 800.0*	*8 400.0*
CEB	*600.0*	*1 100.0*	*1 700.0*
AIIB	*16 500.0*	*30 600.0*	*47 100.0*
NEFCO	*2 400.0*	*700.0*	*3 100.0*
ევრობონდი	*1 350 000.0*	*66 800.0*	*1 416 800.0*
სულ	***2 875 000.0***	***768 000.0***	***3 643 000.0***

მთავრობის საშინაო ვალი

2025 წლის 10 თვის განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა 1 წლამდე ვადიანობის სახაზინო ვალდებულებების და 1 წელზე მეტი ვადიანობის სახაზინო ობლიგაციების გამოშვება. 2025 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ბოლო აუქციონებზე დაფიქსირებულმა საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთებმა საწყისი ვადიანობის მიხედვით შეადგინა: 6 თვიანზე 7.4%, 12 თვიანზე 7.7%, 5 წლიანზე (ნარჩენი ვადიანობა 3.9 წელი) - 9.0%, 7 წლიანზე (ნარჩენი ვადიანობა 5.7 წელი) - 9.4%, 11 წლიანზე (ნარჩენი ვადიანობა 8.7 წელი) - 9.8%; 11.7 წლიანზე (ნარჩენი ვადიანობა 10.9 წელი) - 9.7%.

ფასიანი ქაღალდების გამოშვების შედეგად მთავრობის საშინაო ვალის ნაშთმა 2025 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 11 268.0 მლნ ლარი (ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა

ნომინალებში - 11 152.2 მლნ ლარი და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ნაშთი - 5.9 მლნ ლარი), აქედან 11 101.2 მლნ ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, 160.8 მლნ ლარი - „ობლიგაცია სებ-სთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ნაშთი - 5.9 მლნ ლარი.

ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში ვადის და ტიპის მიხედვით და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალის ნაშთი
2025 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

ათასი ლარი

სულ	**11,158,124.5**
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	**10,991,358.0**
სახაზინო ვალდებულებები (1 წლამდე ვადის მქონე)	360,000.0
სახაზინო ობლიგაციები (1 წელზე მეტი ვადის მქონე)	10,631,358.0
სხვა ფასიანი ქაღალდები	**160,846.0**
ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	160,846.0
საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალი *	**5,920.5**
მ.შ. სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოები	*5,795.6*

* საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, გათვალისწინებულია სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სესხის სახით არსებული ვალი *2022* წლის დეკემბრიდან

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 2026 წლის ბოლოს მდგომარეობით საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელს 1 800 000.0 ათას ლარის ოდენობით. [1]

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) – 40 000.0 ათასი ლარის ოდენობით საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 მაისის „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად.

სახელმწიფო საშინაო ვალდებულებების პროცენტის მომსახურებისათვის საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიით გათვალისწინებულია 1 050 000.0 ათასი ლარი.

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით განსაზღვრული საგარეო და საშინაო ვალის პარამეტრები უზრუნველყოფენ სახელმწიფო ვალის მდგრადობის შენარჩუნებას საშუალოვადიან პერიოდში.

[1] *2024* წლიდან ფინანსთა სამინისტრო აქტიურად იყენებს ვალდებულებების მართვის *(LMO)* ოპერაციებს - გამოსყიდვა/გაცვლა. გაცვლა არ წარმოადგენს საკასო ტიპის ოპერაციას, შესაბამისად, ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მიღებული და დაფარული თანხები მოცემული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში.

მთავრობის ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა დარიცხვის მეთოდით 2026 წლის ბოლოსთვის *

ათასი ლარი

კრედიტორი	საპროგნოზო ნაშთი (დარიცხვის მეთოდით) 31.12.2026
სულ მთავრობის საგარეო ვალის ზღვრული მოცულობა	**24 712 421**
მრავალმხრივი კრედიტორებისაგან	**19 088 866**
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	7 075 913
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB)	732 879
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	624 384
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	3 379 843
ევროკავშირი (EU)	409 784
მსოფლიო ბანკი (WB)	6 399 027
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	94 078
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	316 071
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	43 118
სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	13 768
ორმხრივი კრედიტორებისაგან	**4 237 330**
ავსტრია	20 506
საფრანგეთი	2 292 985
გერმანია	1 617 459
იაპონია	284 149
ქუვეითი	14 944
თურქმენეთი	571
ამერიკის შეერთებული შტატები	6 715
სხვა საგარეო ვალდებულებები	**1 386 225**
ევრობონდი	1 386 225
მთავრობის საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა	**13 503 811**
სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	113 279
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	399 124
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	12 986 596
საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალი	4 811
სულ მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა	**38 216 232**

ცხრილში გამოყენებულია 2025 წლის 21 ნოემბრის გაცვლითი კურსი: 1 EUR = 3.1203 GEL; 1 SDR = 3.665GEL; 100 JPY = 1.7205 GEL; 1 KWD = 8.8051 GEL; 1 USD = 2.7067 GEL.

- **შენიშვნა:** 2026 წლის ბოლოსთვის მთავრობის ვალის საპროგნოზო ნაშთი მოცემულია დარიცხვის მეთოდით (Nominal Value), რომელიც მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის დარიცხული და ვადადაუმდგარი პროცენტის ოდენობას. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს სახელმწიფო ვალის აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან (IMF-ის „საჯარო სექტორის ვალის სტატისტიკის (PSDS)“ სახელძღვანელოს მიხედვით) შესაბამისობას.